ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა

31 დეკემბერი 2021

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანთ თორნთონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

სს ნიუ ვიჟენ დაზღვევის აქციონერებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს ნიუ ვიჟენ დაზღვევის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წავრმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე". ჩვენ დამოუკიდებლები ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ ("IESBA Code") შემუშავებული ეთიკის კოდექსი. ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ

ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ შესრულებული სამუშოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

აუდიტის ძირითადი საკითხები

მოზიდული პრემია	*როგორ გადაიჭრა საკითხი ჩვენი აუდიტის შედეგად*
მთლიანი მოზიდული პრემიები წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს და მოიცავს თანხებს, რომელიც მიღებულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ძალაში მყოფი სადაზღვევო პოლისებისგან. ჩვენი აზრით, შემოსავლების აღიარება მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტისთვის, რადგან კომპანიამ შეიძლება არასწორად აღრიცხოს სადაზღვევო პოლისები. მოზიდული პრემიის მნიშვნელოვნება ასევე გამოწვეულია მისი მოცულობისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა მუხლებთან მგრძნობიარე კავშირის გამო.	მოზიდულ პრემიებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის დაზღვევების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები: ► გავაკეთეთ ანალიტიკური პროცედურები და გადავთვალეთ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებული პრემია; ► ჩავატარეთ დროში გამიჯვნის პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოუმუშავებელი პრემია შემოსავლის სახით არ არის შეტანილი ფინანსურ ანგარიშგებაში; ► შერჩევის საფუძველზე მიმოვიხილეთ გაფორმებული სადაზღვევო კონტრაქტები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მას შეესაბამება მოზიდული პრემიების აღრიცხვის რეესტრი მითითებული ინფორმაცია; ► შერჩევის საფუძველზე მოვახდინეთ სადაზღვევო კონტრაქტების ტესტირება იმასთან დაკავშირებით, შეიცავენ თუ არა ისინი გადაზღვევის სათანადო დონეს და ასევე იმ მიზნით რომ გადამზღვევლის კუთვნილი პრემიები არის თუ არა გამოკლებული მოზიდული პრემიებიდან; ► აუდიტის პროცესში შევისწავლეთ კომპანიაში დანრეგილი კონტროლები და მოვახდინეთ მათი ტესტირება; ► ჩვენ მოვახდინეთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გამომუშავებული პრემიის

	შესაბამისი განმარტებითი შენიშვნის გადამოწმება.
სადაზღვევო ზარალები	*როგორ გადაიჭრა საკითხი ჩვენი აუდიტის შედეგად*
სადაზღვევო ზარალები კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილია. სულ წარმოშობილი ზარალები მოიცავს როგორც ანაზღაურებულ ზარალებს, ასევე განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალებს (RBNS). სადაზღვევო კომპანიებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სადაზღვევო ზარალების ოდენობა და შესაბამისად მათი სწორად აღიარება. ზარალების ანაზღაურება მივიჩნიეთ ისეთ არედ, რომლის მიმართაც საჭიროა აუდიტორის განსაკუთრებული ყურადღება და ერთ-ერთ ისეთ საკითხად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას ყველაზე მნიშვნელოვანია.	სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის დაზღვევების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები: ► მოვიპოვეთ ზარალების რეესტრი და შერჩევის საფუძველზე დავტესტეთ ზარალების სისრულეს რეესტრთან მიმართებაში; ► ჩავატარეთ ძირითადი პროცედურები და ანალიტიკური მიმოხილვა აუნაზღაურებელი ზარალების შესახებ; ► შერჩევით გადავამოწმეთ ანაზღაურებული ზარალები გადახდის დოკუმენტაციასთან და სადაზღვევო ხელშეკრულებებთან; ► ზარალის შემთხვევები, რომლებიც აღიარებულია როგორაც განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი (RBNS), შესაბამისი ბაზა შევამოწმეთ ძირითადი მონაცემებთან დოკუმენტალურად (ზარალის ნომერი, დაზღვეული, დაზღვევის ხაზი, თანხა, შემთხვევის თარიღი, გაცხადების თარიღი, ტრანზაქციის თარიღი და ა.შ.) ► აუდიტის პროცესში შევისწავლეთ კომპანიაში დანრეგილი კონტროლები და მოვახდინეთ მათი ტესტირება; ► ჩვენ მოვახდინეთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნის გადამოწმება შესაბამის სტანდარტთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

- წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.
- მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ვერკვევით კომპანიის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს ანგარიშგების წარდგენას, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული ფინანსურ ანარიშგებაში ოპერაციები და მოვლენები.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

იმ აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს დასკვნა, არის ვახტანგ ცაბაძე.

ვახტანგ ცაბაძე

შპს გრანთ თორნთონის სახელით

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

14 აპრილი 2022

Grant Thornton

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

იმ აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს დასკვნა, არის ვახტანგ ცაბაძე.

ვახტანგ ცაბაძე

შპს გრანთ თორნთონის სახელით

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

14 აპრილი 2022

"GRANT THORNTON" LLC * 200136600 *

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარში

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
საბანკო ანგარიშები	4	2,025,739	490,228
საბანკო ანაბრები	5	8,009,017	8,269,873
სადაზღვევო მოთხოვნები	6	3,519,043	1,788,437
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი	24	219,401	129,817
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	7	78,160	63,380
ძირითადი საშუალებები	8	6,787,741	5,112,226
არამატერიალური აქტივები		65,522	56,357
სხვა აქტივები	9	556,317	183,939
		21,260,940	16,094,257
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	16,750,000	12,500,000
საემისიო კაპიტალი	10	376,457	376,457
დაგროვილი ზარალი		(3,997,940)	(1,884,087)
		13,128,517	10,992,370
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	11	5,294,702	2,397,713
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	12	721,994	407,676
საიჯარო ვალდებულებები	13	1,951,258	588,288
მიღებული სესხები	14	44,628	502,357
სხვა ვალდებულებები	15	119,841	792,218
ანარიცხი	16	-	413,635
		8,132,423	5,101,887
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,260,940	16,094,257

*კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2020 წლის თებერვლიდან.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიდა 2022 წლის 14 აპრილს:

გიორგი ბარკალაია

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-42 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარში

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
საბანკო ანგარიშები	4	2,025,739	490,228
საბანკო ანაბრები	5	8,009,017	8,269,873
სადაზღვევო მოთხოვნები	6	3,519,043	1,788,437
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი	24	219,401	129,817
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	7	78,160	63,380
ძირითადი საშუალებები	8	6,787,741	5,112,226
არამატერიალური აქტივები		65,522	56,357
სხვა აქტივები	9	556,317	183,939
		21,260,940	16,094,257
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	16,750,000	12,500,000
საემისიო კაპიტალი	10	376,457	376,457
დაგროვილი ზარალი		(3,997,940)	(1,884,087)
		13,128,517	10,992,370
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	11	5,294,702	2,397,713
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	12	721,994	407,676
საიჯარო ვალდებულებები	13	1,951,258	588,288
მიღებული სესხები	14	44,628	502,357
სხვა ვალდებულებები	15	119,841	792,218
ანარიცხი	16	-	413,635
		8,132,423	5,101,887
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,260,940	16,094,257

*კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2020 წლის თებერვლიდან.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2022 წლის 14 აპრილს:

გიორგი ბარკალაია

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-42 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარში

	შენიშვნა	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
სადაზღვევო შემოსავალი	17	18,065,104	2,255,230
სადაზღვევო ზარალები	18	(14,583,391)	(1,227,061)
შედეგი სადაზღვევო საქმიანობიდან		3,481,713	1,028,169
საინვესტიციო შემოსავალი	5	534,464	345,025
შედეგი სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობიდან		4,016,177	1,373,194
სხვა შემოსავალი		87,476	987
თანამშრომელთან ხელფასები	19	(3,017,122)	(1,537,837)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	20	(1,757,435)	(135,841)
ანარიცხის ხარჯები	16	413,635	(413,635)
სხვა ხარჯები	21	(1,595,496)	(2,305,585)
ფინანსური ხარჯი	22	(229,006)	(67,900)
(ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან	23	(124,666)	1,072,713
ზარალი დაბეგვრამდე		(2,203,437)	(2,013,904)
		-	-
მოგების გადასახადი	24	89,584	129,817
წლის ზარალი		(2,113,853)	(1,884,087)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(2,113,853)	(1,884,087)

*კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2020 წლის თებერვლიდან.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-42 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარში	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
პერიოდის დასაწყისი	-	-	-	
პერიოდის ზარალი	-	-	(1,884,087)	(1,884,087)
სხვა სრული ზარალი	-	-	(1,884,087)	(1,884,087)
ოპერაციები აქციონერებთან	12,500,000	376,457	-	12,876,457
31 დეკემბერი 2020	12,500,000	376,457	(1,884,087)	10,992,370
წლის ზარალი			(2,113,853)	(2,113,853)
სხვა სრული ზარალი	-	-	(2,113,853)	(2,113,853)
ოპერაციები აქციონერებთან (შენიშვნა 10)	4,250,000	-	-	4,250,000
31 დეკემბერი 2021	16,750,000	376,457	(3,997,940)	13,128,517

*კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2020 წლის თებერვლიდან.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-42 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარში	შენიშვნა	2020 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენებიდან მიღებული ფულადი სახსრები		17,134,354	2,673,226
გადახდილი ზარალები და შემოსავალი რეგრესიდან		(13,733,296)	(904,619)
გადახდილი ხელფასები		(3,075,391)	(1,474,242)
სხვა გადახდები		(2,440,889)	(1,014,963)
ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		(2,115,222)	(720,598)
გადახდილი პროცენტი	33	(48,419)	(65,543)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		(2,163,641)	(786,141)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(157,558)	(186,636)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(1,242)	(2,595)
მიღებული პროცენტი		536,434	309,665
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		377,634	120,434
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა		4,250,000	7,944,406
მიღებული სესხები	33	-	500,000
სესხებზე გადახდილი ფული	33	(736,171)	(88,710)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		3,513,829	8,355,696
ფულის საბანკო ანგარიშებზე ზრდა		1,727,822	7,689,989
ფული ბანკში პერიოდის დასაწყისში		8,760,101	-
უცხოური ვალუტის კურსის ეფექტი		(453,167)	1,070,112
ფული ბანკში პერიოდის ბოლოს		10,034,756	8,760,101
მათ შორის:			
ფული ბანკში		2,025,739	490,228
საბანკო ანაბრები		8,009,017	8,269,873
სულ ფული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის		10,034,756	8,760,101

*კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2020 წლის თებერვლიდან.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-42 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა (კომპანია) დაფუძნდა 2020 წლის 20 თებერვალს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სადაზღვევო მომსახურების გაწევა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის. კომპანიას ძირითადად აქვს შემდეგი სადადაზღვევო მომსახურებები: ავტომობილების დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა, აგრო დაზღვევა, ფინანსური რისკების დაზღვევა და ა.შ.

კომპანიის რეგისტრირებულია მისამართია: ევგენი მიქელაძის 1, თბილისი, საქართველო.

კომპანიის კაპიტალის 60% ფლობს ა(ა)აიპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი და 40%-ი ეკუთვნის შპს ნიუ ვიჟენ ინფრასტრუქტურას.

კომპანიის უმაღლეს მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს დავით კერესელიძე, რომელიც არის ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტეის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში მუშაობდა 177 ადამიანი (2020: 324).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის საფუძველზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით (იხილეთ შენიშვნა 26.2).

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც აღრიცხულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების "შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-26.1 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.

ქვემოთ მოცემულია 2021 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ კომპანიის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია
სხვადასხვა	*საპროცენტო განაკვეთის საორიენტაციო რეფორმის ფაზა 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 16, ფასს 4, ფასს 7) შესწორებები*

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასსს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან, ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ
ფასს 16	*COVID-19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ*	*1 აპრილი 2021*
ფასს 3	*კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ცვლილებები ფასს 3-ში)*	*1 იანვარი 2022*
ბასს 16	*შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე (ცვლილებები ბასს 16-ში)*	*1 იანვარი 2022*
ბასს 37	*დამამძიმებელი კონტრაქტი – კონტრაქტის შესრულების ფასი (ცვლილებები ბასს 37-ში)*	*1 იანვარი 2022*
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	*ფასს 2018-2020 ყოველწლიური გაუმჯობესება (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16)*	*1 იანვარი 2022*
ფასს 17	*სადაზღვევო კონტრაქტები*	*1 იანვარი 2023*
ფასს 4	*ფასს 9-ის დროებით მიღებიდან ჰრივილეგიის გახანგრძლივება (ცვლილებები ფასს 4-ში)*	*1 იანვარი 2023*
ფასს 17	*ფასს 17-ისა და ფასს 9-ის პირველადი გამოყენება – შედარებითი ინფორმაცია (ცვლილებები ფასს 17-ში)*	*1 იანვარი 2023*
ბასს 1	*ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ცვლილება ბასს 1-ში)*	*1 იანვარი 2023*

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში IASB-მ გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“, ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს, და ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“.

ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებისგანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია შეფასების მიზნებისთვის, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს (უნივერსალურ მოდელს) სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის,
რომელსაც ერთვის ცვლადი გადასახდელის მიდგომა ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები და არსებითად არის ინვესტიციასთან
დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულებები და პრემიის განაწილების მიდგომა, რომელიც ძირითადად გამოიყენება მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის და, ჩვეულებრივ, ვრცელდება გარკვეულ არასიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა. თუმცა, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის სრული რეტროსპექტული გამოყენება შეუძლებელია, მაშინ საწარმო ვალდებულია, აირჩიოს ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, ან სამართლიანი ღირებულების მეთოდი

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.5040 (2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენდა 3.2766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენდა 4.0233), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 სადაზღვევო ხელშეკრულებები

ხელშეკრულებების კლასიფიკაცია

სადაზღვევო ხელშეკრულებებად კლასიფიცირდება ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც კომპანია მეორე მხარისგან (პოლისის მფლობელი) იღებს მნიშვნელოვან და

საზღვევო რისკს იმით, რომ თანხმდება პოლისის მფლობელის ან სხვა ბენეფიციარის ანაზღაურებაზე თუ კონკრეტული გაურკვეველი მომავლის შემთხვევა (სადაზღვევო შემთხვევა) უარყოფითად იმოქმედებს პოლისის მფლობელზე ან სხვა ბენეფიციარზე.

ფინანსური რისკი არის ერთი ან მეტი კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, საქონლის ფასის, ვალუტის გაცვლითი კურსის, საფასო ინდექსების ან განაკვეთების, საკრედიტო რეიტინგის ან საკრედიტო ინდექსის ან სხვა ცვლადის მომავალში შესაძლო ცვლილება, არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში იმ პირობით, რომ ცვლადი ხელშეკრულების მხარისთვის დამახასიათებელი არ არის. სადაზღვევო ხელშეკრულებებით ასევე შესაძლებელია გარკვეული ფინანსური რისკის გადაცემა.

სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვანია, თუ, და მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად კომპანიას უხდება მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება. როცა ხელშეკრულება კლასიფიცირდება სადაზღვევო ხელშეკრულებად, ის ამგვარადვე რჩება, სანამ ყველა უფლება და ვალდებულება არ ამოიწურება, ან ვადა არ გაუვა. ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც სადაზღვევო რისკის პოლისის მფლობელიდან კომპანიაზე გადაცემა არაა მნიშვნელოვანი, კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებები აღირიცხება, როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებები.

ხელშკრულებების აღიარება

სადაზღვევო შემოსავალი - პრემიები

მთლიანი მოზიდული პრემია არის პრემია წლის განმავლობაში დადებულ ხელშეკრულებაზე, მიუხედავად იმისა, უკავშირდება თუ არა ის მთლიანად ან ნაწილობრივ შემდგომ სააღრიცხვო პერიოდს. პრემიების გამჟღავნება ხდება შუამავლისთვის გადასახდელი საკომისიოთი და გამორიცხავს პრემიებზე დაწესებულ გადასახადებს და მოსაკრებლებს. მოზიდული პრემიების გამომუშავებული ნაწილი აღიარდება, როგორც შემოსავალი. პრემიები გამომუშავდება მათზე რისკის მიბმის დღიდან, გარანტიის პერიოდის განმავლობაში პროპორციული მეთოდის გამოყენებით.

პოლისის გაუქმების შემთხვევები

პოლისის გაუქმებას ადგილი აქვს, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ პოლისის მფლობელს არ აქვს სურვილი ან შესაძლებლობა, განაგრძოს პოლისზე პრემიის გადახდა. შესაბამისად, გაუქმებას უმეტესად განიცდის ისეთი პოლისები, რომლებზეც პრემიების გადახდა ხდება ნაწილ-ნაწილ პოლისის პერიოდის განმავლობაში.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი არის მთლიანი მოზიდული პრემიის პროპორცია, რომელიც, წინასწარი შეფასებით, უნდა გამომუშავდეს შემდეგ ან მომდევნო ფინანსური წლების განმავლობაში და რომელიც თითოეულ სადაზღვევო ხელშეკრულებაზე ითვლება ცალკე, პროპორციული მეთოდით.

ზარალები

წმინდა დამდგარი ზარალი შედგება ფინანსური წლის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალისგან, შეტყობინებული ზარალისთვის შექმნილი რეზერვის ცვლილებასთან ერთად. აუნაზღაურებელი ზარალი შედგება კომპანიის მიერ დამდგარი, მაგრამ გადაუხდელი ზარალის ანაზღაურების საბოლოო დანახარჯის პროგნოზის მიხედვით შექმნილი რეზერვებისგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის, მიუხედავად იმისა, ეს ზარალი განცხადებულია თუ არა.

შეტყობინებული ზარალი ფასდება ცალკეული ზარალის შემოწმებით და რეზერვის შექმნით დამდგარი, მაგრამ ჯერ განუცხადებელი ზარალისთვის, და შიდა და გარე პროგნოზირებადი შემთხვევების ეფექტისთვის, როგორიცაა მოთხოვნების დარეგულირების ხარჯების ცვლილება, საკანონმდებლო ცვლილებები, წარსულის გამოცდილება და ტენდენციები. შეტყობინებული ზარალის რეზერვების დისკონტირება არ ხდება.

სუბროგაციიდან მოსალოდნელი ანაზღაურება აღიარდება ცალკე, როგორც აქტივები. სუბროგაციიდან ანაზღაურება ფასდება შეტყობინებული ზარალის შეფასების მსგავსი მეთოდით.

ზარალის თანხების წინა წლებში შექმნილი რეზერვების კორექტირება აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელ პერიოდშიც განიცადა კორექტირება და, თუ ისინი არსებითია, მჟღავნდება ცალკე. გამოყენებული მეთოდები და გაკეთებული პროგნოზები მოწმდება რეგულარულად.

გადავადებული აკვიზაციის ხარჯები

საკომისიო და აკვიზიციის სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი კონტრაქტების მოზიდვასთან და არსებული კონტრაქტების განახლებასთან, კაპიტალიზდება, როგორც აქტივები (DAC). ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. აკვიზიციის გადავადებული ხარჯების (DAC) ამორტიზება ხდება კონტრაქტის ვადის განმავლობაში სადაზღვევო პრემიის გამომუშავების პროპორციულად. გადავადებული აკვიზიციის ხარჯების საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ვალდებულებების ადეკვატურობის ტესტი

თითეული საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ვალდებულების ადეკვატურობის ტესტირება, რათა დარწმუნდნენ, რომ გამოუმუშავებელი პრემიები საკმარისია ერთად მართული თითოეული ბიზნეს-მიმართულებისთვის. ამ ტესტირების ჩატარებისას გამოიყენება მოქმედი პოლისების ვადაგაუსვლელი პერიოდების სამომავალო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, მოთხოვნების მართვის და პოლისების ადმინისტრირების ხარჯების არსებული საუკეთესო წინასწარი შეფასებები. დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში, იქმნება დამატებითი რეზერვი (ვადაგაუსვლელი რისკის რეზერვი). დეფიციტის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. 2020 წლის განმავლობაში დანაკლისი არ გამოვლენილა.

სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები

პოლისების მფლობელებისათვის, აგენტების და მათგან მისაღები და გადასახდელი თანხები აღირიცხება კატეგორიაში სხვა სადაზღვევო ვალდებულებებში და მოთხოვნებში, და არა სადაზღვევო ხელშეკრულებების რეზერვებში.

3.3 მოთხოვნები გადაზღვევიდან

გადაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება ხორციელდება სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე და თვითღირებულებით. გადაზღვევიდან მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ რაიმე მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების მიღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოთხოვნები გადაზღვევიდან ძირითადად გულისხმობს სადაზღვევო და გადამზღვეველი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს, რომელიც წარმოიშვა სადაზღვევო ვალდებულებების გადაცემის სანაცვლოდ. გადაზღვევის პრემიის შემოსავლად აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც მოხდებოდა, გადაზღვევა პირდაპირ გარიგებად რომ ითვლებოდეს, გადაზღვევის პროდუქტების კლასიფიკაციის შესაბამისად. გადამზღვევლებისთვის გადასახდელი თანხები გამოითვლება შესაბამისი გადამზღვევლის პოლიტიკისა და გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით. გადაცემული პრემიები და გადახდილი მოთხოვნები წარმოდგენილია მთლიანი (ბრუტო) თანხებით.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების გადაცემული წილის გაუფასურების ტესტირება. საგადაზღვევო დებიტორული დავალიანება უფასურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ მიიღოს ხელშეკრულების მიხედვით ყველა მისაღები თანხა და რომ ამის გაზომვა სათანადოდ შეიძლება.

3.4 რეგრესი და გადარჩენილი ქონება

ზოგიერთი სახის სადაზღვევო კონტრაქტი კომპანიას უფლებას აძლევს, გაყიდოს (როგორც წესი გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება (გადარჩენილი ქონება). კომპანიის

ასევე შეიძლება ჰქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი).

კომპანიი რეგრესიდან მოთხოვნებს განიხილავს, თავდაპირველი აღიარებისას საკრედოტო რისკით გაუფასურებულ მოთხოვნებად. კომპანია ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს საკრედიტო რისკით კორექტირებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს და გამოიყენებს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში. კომპანია განიხილავს წარსულ გამოცდილებას და რეგრესიდან მოთხოვნას აღიარებს მაშინ, როდესაც საიმედოდ შეაფასებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადების შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციდან მოსალოდნელ წმინდა ფულადი ნაკადებს. რეგრესიდან მოთხოვნები აღიარდება მოსალოდნელ ფულად ნაკადებში გადამზღვევლის წილის გამოკლებით. რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება სადაზღვევო ზარალების ხარჯში.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით და იგი მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ მომავალში შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შენობები და სხვა აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ იჯარით აღებულ ძირითადი საშუალებებს შედის ძირითად საშუალებების კომპანიაში, თუ ისინი წარმოადგენენ აქტივების გამოყენების უფლებას. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით). კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზად არის გამოსაყენებლად. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობები	-	50 წელი
ოფისის აღჭურვილობა	-	5 წელი
სხვა	-	5 წელი

ვინაიდან მიწის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, შესაბამისი საბალანსო ღირებულებები ცვეთას არ ექვემდებარება.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები რომლებსაც აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აღრიცხულია თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფსურების ზარალის თანხებით.

ცვეთა ერიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, აქტივების მთელი სასარგბლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივები იცვითება 5 წლის პერიოდზე.

3.7 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.8 იჯარით აღებული აქტივები

კომპანია, როგორც მოიჯარე

იჯარა განიმარტება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.
- აქვს თუ არა კომპანიასს ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან მთლიანი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- აქვს თუ არა კომპანიას იდენტიფიცირებადი აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მისი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების

თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება ჩათვლილია ძირითად საშუალებებში და საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია განცალკევებით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

კომპანია, როგორც მეიჯარე, გამოყოფს იჯარის ორ კლასს - საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებს.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუკი იგი გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს განსაზღვრული აქტივის მფლობელს, ხოლო თუ არ გადასცემს, მაშინ იგი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

3.9 მარაგები

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. ისეთი ნივთები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე ინვენტარი და მომსახურებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა ასევე აღიარდება, როგორც მარაგი, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ ძირითადი საშუალების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული

სავარაუდო დანახარჯები. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.10 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI და FVTPL.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კოპმაანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 28.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვული როგორც FVTPL):

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება

უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ბონდები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილნი ასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებეს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვს), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)

დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით.

ფინასური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნაში 28.2.

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზირებადი ღირებულებით.

3.11 საბანკო ანგარიშები და ანაბრები

ფული საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ფულს ადგილობრივ საბანკო დაწესებულებში.

საბანკო დეპოზიტები მოიცავს თანხებს განთავსებულს საბანკო ანგარიშებზე, საიდანააც კომპანია იღებს დამატებით სარგებელს.

3.12 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი მოიცავს აქციების ნომინალურ ღირებულებას

საემისიო კაპიტალი მოიცავს აქციებისთვის გადახდილ თანხასა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას.

დაგროვილი ზარალი მოიცავს მიმდინარე პერიოდის გაუნაწილებელ მოგებას/ზარალს.

აქციონერებთან დაკავშირებული ოპერაციები გამოყოფილია ცალკე ანგარიშგებაში.

დივიდენდი აღიარდება დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

3.13 ანარიცხი

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას.

3.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აერთიანებს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ მუხლებს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის წლის დასაბეგრ მოგებაზე გადასახდელი მოსალოდნელი გადასახადი, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ან უმეტესად ძალაშია საანგარიშგებო თარიღისთვის და წინა წლებთან დაკავშირებით გადასახდელი გადასახადის კორექტირება. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე საგადასახადო ვალდებულებებს.

მოგების გადასახადით კომპანიების დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას, უბრალოდ მოგების გადასახადით დაბეგვრამ გადაინაცვლა მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტზე, ანუ ძირითადი საგადასახადო

ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით განაწილებული მოგება არის მფლობელებისთვის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება სხვა ტიპის ოპერაციებიც, მაგალითად დაკავშირებულ მხარეებთან საერთაშორისო გარიგება გაშლილი მკლავის პრინციპის დაუცველად და/ან გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია ასევე ითვლება განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის დეკლარაციის მიზნებისთვის. ამასთან, საგადასახადო ობიექტი მოიცავს გაწეულ ხარჯს ან სხვა გადახდას, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა და განსაზღვრულ ოდენობაზე მეტით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

დივიდენდების გადახდით გამოწვეული მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ხარჯი დივიდენდების დეკლარირების პერიოდში, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი უზრუნველყოფს დროებით სხვაობებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის და დაბეგვრის მიზნით გამოყენებულ თანხებს შორის. იგი არ ფარავს შემდეგ დროებით განსხვავებებს: გუდვილი, რომელიც არ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებით, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება, რომლებიც გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და ასოცირებულ კომპანიებში, სადაც მშობელ კომპანიას შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის ამობრუნების დრო და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ ამობრუნდება. გადავადებული გადასახადის ოდენობა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების რეალიზაციას ან დაფარვას 2023 წლის პირველ იანვრამდე, საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული, ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება 2023 წლის 1 იანვრამდე, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზება.

ახალი საგადასახადო სისტემის ზემოთ მოყვანილი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს 2023 წლის 1 იანვრიდან არ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. აქედან გამომდინარე, ამ თარიღიდან არ წარმოქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

3.15 დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

მოსალოდნელია, რომ მოკლევადიანი თანამშრომელთა სარგებელი განისაზღვრება წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ, სრული თორმეტი თვისთვის წინასწარ, რომელშიც თანამშრომლები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. ეს სარგებელი მოიცავს:

(ა) ხელფასებს, ანაზღაურებასა და პრემიებს;

(ბ) წლიურ და შრომისუუნარობის მიზეზით მიღებულ ანაზღაურებულ შვებულებებს;

3.16 სხვა შემოსავალი

იმისათვის, რომ სხვა შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;

4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

4 საბანკო ანგარიშები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ანგარიშები	2,025,739	490,228
	2,025,739	490,228

საკრედიტო რეიტინგი საბანკო ანგარიშებისთვის შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
BB+	11,648	125,054
B+	502,068	-
BB-	1,512,023	365,174
	2,025,739	490,228

5 საბანკო ანაბრები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
პროკრედიტ ბანკი	7,629,017	8,069,873
კრედო ბანკი	180,000	120,000
ფინკა ბანკი	200,000	80,000
	8,009,017	8,269,873

საინვესტიციო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
პროკრედიტ ბანკი	387,413	314,886
კრედო ბანკი	63,647	1,266
ფინკა ბანკი	-	9,529
თიბისი ბანკი	36,984	17,599
საქართველოს ბანკი	18,077	1,745
ლიბერთი ბანკი	28,343	
	534,464	345,025

ბანკში დეპონირებული 8,009,017 ლარიდან, 4,200,000ლარი უკავშირდება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას.

ბანკის დეპოზიტების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. ბანკის დეპოზიტები წარმოდგენილია ქართულ კომერციულ ბანკებში გაკეთებული განთავსებებით, 1 წელზე ნაკლები ვადიანობით და ლარში ერიცხება წლიური 11.5%-დან 11.75%-მდე, ხოლო დოლარში 4.80%.

საკრედიტო რეიტინგი საბანკო ანაბრებისთვის შემდეგია:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
BB+	7,629,017	8,069,873
BB-	380,000	200,000
	8,009,017	8,269,873

6 სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოთხოვნები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სადაზღვევო მოთხოვნები	3,756,506	1,824,025
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(237,463)	(35,588)
	3,519,043	1,788,437

სადაზღვევო მოთხოვნების უცხოური ვალუტის რისკებზე კომპანიის ზემოქმედების შესახებ იხილეთ 29 (ა) შენიშვნა.

სადაზღვევო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით იხილეთ 29 (ბ) შენიშვნა.

7 გადავადებული აკვიზაციის ხარჯები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
1 იანვარი 2021	63,380	-
გადავადებული ხარჯები	1,018,373	279,773
მიმდინარე პერიოდის ამორტიზაცია	(1,003,593)	(216,393)
31 დეკემბერი 2021	78,160	63,380

8 ძირითადი საშუალებები

ლარში	მიწა	შენობები	საოფისე ინვენტარი	სხვა	სულ
თვითღირებულება					
შემოსვლა	456,457	5,018,423	165,733	33,016	5,673,629
გასვლა	-	-	(90)	-	(90)
31 დეკემბერი 2020	456,457	5,018,423	165,643	33,016	5,673,539
შემოსვლა	-	-	235,535	2,104,899	2,340,434
გასვლა	-	(400,624)	-	-	(400,624)
31 დეკემბერი 2021	456,457	4,617,799	401,178	2,137,915	7,613,349
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
ცვეთის ხარჯი	-	(151,772)	(18,703)	(3,291)	(173,766)
ცვეთის გასვლა	-	-	10	-	10
გაუფასურება	-	(387,557)	-	-	(387,557)
31 დეკემბერი 2020	-	(539,329)	(18,693)	(3,291)	(561,313)
ცვეთის ხარჯი		(277,734)	(67,829)	(12,508)	(358,071)
ცვეთის გასვლა		92,519		1,257	93,776
31 დეკემბერი 2021	-	(724,544)	(86,522)	(14,542)	(825,608)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2020	456,457	4,479,094	146,950	29,725	5,112,226
31 დეკემბერი 2021	456,457	3,893,255	314,656	2,123,373	6,787,741

ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (იხილეთ შენიშვნა 21), რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
ცვეთა	358,071	173,766
ამორტიზაცია	16,059	11,099
	374,130	184,865

ძირითადი საშუალებები მოიცავს აქტივების გამოყენების უფლებას, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შენობები	2,068,432	528,363
	2,068,432	528,363

9 სხვა აქტივები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები რეგრესიდან	1,981,204	88,505
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რეგრესზე	(1,599,812)	(44,252)
სხვა ფინანსური მოთხოვნები	134,310	111,365
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სხვა ფინანსურ მოთხოვნებზე	-	(56,001)
	515,702	99,617
არაფინანსური აქტივები		
ავანსები	-	12,123
საგადასახადო აქტივი	18,211	-
სხვა არაფინანსური აქტივები	22,404	72,199
	40,615	84,322
სხვა აქტივები	556,317	183,939

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ რეალურ ღირებულებას

ყველა თანხა დენომინირებულია ლარში.

10 კაპიტალი და რეზერვები

10.1 საწესდებო კაპიტალი

აქციების რაოდენობა	საწესდებო კაპიტალი 2021	საწესდებო კაპიტალი 2020
განცხადებული და შევსებული კაპიტალი	16,750,000	12,500,000

კომპანიას აქვს ერთი კატეგორიის 16,750,000 აქცია და მათ არ ერიცხებათ ფიქსირებული შემოსავალი.

კომპანიის საწედებო კაპიტალი 2021 წელს გაიზარდა 4,250,000 ლარით, რომელიც შეივსო ფულადი სახსრებით დამფუძნებლების მიერ (60/40% პროპორციით).

10.2 საემისიო კაპიტალი

საემისიო კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქციის ნომინალურ ღირებულებასა და გადახდილ ღირებულებას შორის.

11 სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

მთლიანი ტექნიკური რეზერვები 31 დეკემბრისთვის:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	3,523,425	2,228,391
გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(30,898)	-
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი - RBNS	1,657,596	150,077
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალი - IBNR	144,579	19,245
სულ სადაზღვევი ვალდებულებები	5,294,702	2,397,713

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი 31 დეკემბრისთვის:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	2,228,391	-
წმინდა მოზიდული პრემია	19,360,138	4,483,621
წმინდა გამომუშავებული პრემია	(18,065,104)	(2,255,230)
31 დეკემბერი 2021	3,523,425	2,228,391

სადაზღვევო ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
1 იანვარი 2021	169,322	-
სადაზღვევო ზარალები, გადახდილი	(14,048,696)	(935,145)
წლის ზარალები და ცვილებები რეზერვებში	15,681,549	1,104,467
31 დეკემბერი 2021	1,802,175	169,322

12 სხვა სადაზღვევო ვალდებულებები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აგენტების საკომისიო	102,624	59,369
დეპონირებული თანხები	588,412	348,307
ვალდებუ;ლება გადამზღვეველთან	30,958	
	721,994	407,676

მთლიანი თანხა დენომინირებულია ლარში.

13 საიჯარო ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	102,702	99,287
გრძელვადიანი	1,848,556	489,001
	1,951,258	588,288

კომპანიას აქვს იჯარით აღებული საოფისე შენობები, იჯარა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. თითოეული იჯარა წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. კომპანია ახდენს თავისი აქტივების გამოყენების უფლების კლასიფიკაციას ძირითადი საშუალებების მსგავსად. (იხ. შენიშვნა 8).

ყველა საიჯარო ხელშეკრულება შეიცავს შეზღუდვას იმის თაობაზე, რომ კომპანიას არ აქვს უფლება საიჯარო აქტივი გადასცეს მესამე მხარეს თუ მას არ აქვს კონტრაქტით განსაზღვრული უფლება. საიჯარო აქტივი

შესაძლოა გამოყენებული იქნეს მხოლოდ მოიჯარის მიერ. იჯარები ან არაგაუქმებადია, ან გაუქმებადი, მხოლოდ შესაბამისი შეწყვეტის საფასურის გადახდის შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივების სახეობებს, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით:

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაო-დენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენილი იჯარს ვადა	იჯარების რაოდენო-ბა ვადის გაგრძე-ლების უფლებით	იჯარების რაოდენობა ყიდვის უფლებით	იჯარების რაოდენობა ინდექსზე მიბმული ცვლა-დი გადახ-დებით	იჯარების რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
შენობები	2	32-113 თვე	73 თვე	-	-	-	2

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია საიჯარო აქტივებით. მომავალი საიჯარო გადახდები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ლარში	მინიმანული საიჯარო გადასახდელები
	2021 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლის განმავლობაში	
საიჯარო გადასახდელები	318,889
ფინანსური ხარჯი	(216,187)
	102,702
1-დან 5 წლამდე	
საიჯარო გადასახდელები	1,168,715
ფინანსური ხარჯი	(621,722)
	546,993
5 წელზე მეტი	
საიჯარო გადასახდელები	1,703,274
ფინანსური ხარჯი	(401,711)
	1,301,563
წმინდა მიმდინარე ღირებულება	1,951,258

იჯარებზე გადახდილი მთლიანი ფულადი ნაკადები 2021 წლის განმავლობაში შეადგენდა 280,108 ლარს. (145,858 ლარს 2020 წელს).

საიჯარო ხარჯები რომლებიც ჩართულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და არ აიღარდა აქტივის გამოყენების უფლების სახით შეადგინა 21,000 ლარი.

იჯარების უცხოური ვალუტის რისკებზე კომპანიის ზემოქმედების შესახებ იხილეთ 29 (ა) შენიშვნა.

14 მიღებული სესხები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	44,628
	44,628

მიღებული სესხის დაფარვის ვადა სრულდება 1 წელში, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგეს 10%-ს.

მიღებული სესხის რეალური ღირებულება უახლოვდება მის საბალანსო ღირებულებას.

მიღებული სესხები დენომინირებულია ლარში

15 სხვა ვალდებულებები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	73,057	55,464
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	46,784	23,504
სხვა	-	444
	119,841	79,412
არაფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	-	712,806
	-	712,806
სხვა ვალდებულებები	119,841	792,218

ყველა თანხა დენომინირებულია ლარში.

16 ანარიცხი

კომპანია 2020 საანგარიშგებო პერიოდში შეამოწმა საგადასახადო ორგანომ/შემოსავლების სამსახურმა და შემოწმების შედეგად კომპანია დაჯარიმდა 1,108,556 ლარით. აღნიშნული თანხიდან ძირითადი გადასახადის თანხა შეადგენს 694,921 ლარს (იხილეთ შენიშვნა 21) და საურავის და ჯარიმის თანხამ შეადგინა 413,635 ლარი.

კომპანია 2020 წელს დაეთანხმა საგადასახადო ორგანოს, რომ გადასახადის ძირითადი თანხა სამართლიანად არის დარიცხული, მაგრამ კომპანიის მენეჯმენტმა გაასაჩივრა ჯარიმისა და საურავის დარიცხვის გადაწყვეტილება. მენეჯმენტს ჯერა რომ ჯარიმებთან და საურავებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება დაკმაყოფილებულ იქნება შემოსავლების სამსახურის მიერ და აღნიშნული ხარჯები კომპანიამ აღიარა ანარიცხის სახით ფინანსურ ანგარიშგებაში.

2021 წელს, კომპანიის საჩივარი დაკმაყოფილდა საგადასახადო ორგანოს მიერ, შესაბამისად მოხდა ანარიცხის თანხის ამობრუნება.

17 სადაზღვევო შემოსავალი

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
მთლიანი მოზიდული პრემია	19,360,138	4,483,621
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(1,295,034)	(2,228,391)
	18,065,104	2,255,230

ლარში

მთლიანი მოზიდული პრემია სადაზღვევო სახეობების მიხედვით	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
ავტო დაზღვევა	9,830,242	2,276,392
ჯანმრთელობის დაზღვევა	2,400,218	759,162
აგრო დაზღვევა	4,828,164	871,371
ფინანსური რისკის დაზღვევა	510,820	175,567
ვალდებულებების დაზღვევა	173,893	39,877
ტვირთის დაზღვევა	25,565	13,099
უბედური შემთხვევის დაზღვევა	41,032	2,086
ქონების დაზღვევა	28,344	18,229
მოგზაურობის დაზღვევა	9,246	77
მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა (TPL)	1,275,349	253,544
სხვა	237,265	74,217
მთლიანი მოზიდული პრემია	19,360,138	4,483,621
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(1,295,034)	(2,228,391)
სადაზღვევო შემოსავალი, წმინდა	18,065,104	2,255,230

18 სადაზღვევო ზარალები

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
სადაზღვევო ზარალები, გადახდილი	(14,048,696)	(935,145)
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალი - RBNS	(1,507,519)	(150,077)
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალი - IBNR	(124,810)	(19,244)
	(15,681,025)	(1,104,466)
აკვიზაციის ხაჯები	(1,003,593)	(216,393)
სადაზღვევო დარეგულირების ხარჯები	(26,644)	(63,489)
შემოსავალი რეგრესიდან	2,127,871	157,287
სადაზღვევო ზარალები, წმინდა	(14,583,391)	(1,227,061)

19 თანამშრომელთა ხელფასები

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
თანამშრომელთა ხელფასები	2,834,547	1,418,565
ბონუსები	182,575	119,272
	2,990,477	1,537,837

20 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
ანარიცხი სადაზღვევო მოთხოვნებზე	201,875	35,588
ანარიცხი რეგრესზე	1,555,560	44,252
სხვა	-	56,001
	1,757,435	135,841

21 სხვა ხარჯები

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
საწევრო გადასახადი	260,530	13,200
ცვეთა და ამორტიზაცია	374,130	184,865
საგადასახადო ხარჯები (იხილეთ შენიშვნა 16)	-	694,921
გაუფასურების ხარჯი	-	387,557
მარკეტინგის ხარჯები	156,347	103,277
კომუნიკაციის ხარჯები	86,871	48,644
კომუნალური ხარჯები	90,028	21,437
საიჯარო ხარჯები	21,000	19,498
მიწისა და ქონების გადასახადი	42,077	19,199
საკანცელარიო ხარჯები	-	11,686
ბანკის საკომისიო	7,045	11,424
საოფისე ხარჯები	36,724	7,423
საწვავის ხარჯები	38,862	6,046
მივლინების ხარჯები	85,055	3,813
დაცვის ხარჯები	15,777	2,701
წარმომადგენლობითი ხარჯები	4,236	236
რემონტის დანახარჯები	11,369	-
ბეჭდვის ხარჯი	22,759	-
სხვა*	339,686	769,658
	1,592,496	2,305,585

*სხვა ხარჯები 2020 წელს მოიცავს სავალდებულო სადაზღვევო ცენტრში გაწევრიანების ხარჯს 653,914 ლარის ოდენობით.

22 ფინანსური ხარჯი

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
ფინანსური ხარჯი იჯარაზე	182,254	57,148
ფინანსური ხარჯი მიღებულ სესხზე	46,752	10,752
	229,006	67,900

23 მოგება საკურსო სხვაობიდან

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
ფინანსური აქტივები	(1,082,975)	1,154,027
ფინანსური ვალდებულებები	1,207,641	(81,314)
	124,666	1,072,713

24 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახდისა და გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი	89,584	129,817
	89,584	129,817

ლარში		2020 წლის პერიოდი
ზარალი დაბეგვრამდე	(2,113,853)	(1,884,087)
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი	317,078	282,613
არაგამოქვითვადი საგადასახადო ხარჯი	(227,494)	(152,796)
	89,584	129,817

საგადასახადო და ფინანსური მოგების რეკონსილაცია 2021 წლის მდგომარეობით:

ლარში	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა	(დარიცხული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში
	2021	2021	2021	2021
ძირითადი საშუალებები	-	(78,665)	(78,665)	(97,950)
სადაზღვევო მოთხოვნები	35,619	-	35,619	30,281
სხვა აქტივები	239,972	-	239,972	224,934
სხვა ვალდებულებები	22,475	-	22,475	20,562
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-	(88,243)
საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	298,066	(78,665)	219,401	89,584
გადახურვა	(78,665)	-		
წმინდა აქტივები/ვალდებულებები	219,401	-	219,401	89,584

საგადასახადო და ფინანსური მოგების რეკონსილაცია 2020 წლის მდგომარეობით:

ლარში	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა	(დარიცხული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში
	2020	2020	2020	2020
ძირითადი საშუალებები	19,285	-	19,285	19,285
სადაზღვევო მოთხოვნები	5,338	-	5,338	5,338
სხვა აქტივები	15,038	-	15,038	15,038
სხვა ვალდებულებები	1,913	-	1,913	1,913
საიჯარო ვალდებულებები	88,243	-	88,243	88,243
საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	129,817	-	129,817	129,817
გადახურვა	-	-		
წმინდა აქტივები/ვალდებულებები	129,817	-	129,817	129,817

25 შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყო, რაც თავის მხრივ მსოფლიო ყურადღების ქვეშ მოექცა, ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ასევე სხვა სახელმწიფოებმა, ომის შეწყვეტის მიზნით, გადაწყვიტეს რუსეთისთვის მკაცრი სანქციების დაწესება. სანქციები მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ შეზღუდვებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს არა მარტო რუსეთში არსებულ კომპანიებზე, არამედ მათზეც, ვისაც საქმიანი ურთიერთობები გააჩნიათ ამ კომპანიებთან.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები, ეკონომიკურ ურთიერთობებზე იქონიებს გავლენას, ამ ეტაპზე შეუძლებელია საკმარისად ზუსტად შევაფასოთ რა მასშტაბისა იქნება ამ მოვლენების გავლენა კომპანიაზე და მის საქმიანობაზე. ზოგადად კომპანიას არ აქვს ურთიერთობები რუსეთში დაფუძნებულ კომპანიებთან.

26 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითერბასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

26.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება

დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების საერთო მოცულობა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებაა. არსებობს უზუსტობის რამდენიმე მიზეზი, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია კომპანიის მიერ ამ ზარალის ასანაზღაურებლად გადახდილი ვალდებულების შეფასებისას.

შეფასებები უნდა გაკეთდეს ერთობლივად, ანგარიშგების თარიღისთვის გაცხადებული ზარალის მოსალოდნელი ოდენობისა და ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის მოსალოდნელი საერთო მოცულობის შესახებ. ზარალის საერთო მოცულობის ზუსტად დადგენას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. ზოგად დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

რეზერვების საბოლოო ღირებულების გამოთვლა ხდება ე. წ. ჯაჭვისებური კიბის მეთოდით. ამ მეთოდის ძირითადი საფუძველია ის დაშვება, რომ კომპანიის წარსულში დაგროვილი ზარალის დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო ზარალის დინამიკისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდები პროგნოზისთვის ახდენს გადახდილი და მომხდარი ზარალის, თითოეული მოთხოვნის საშუალო მოცულობისა და მოთხოვნების რაოდენობის ექსტრაპოლაციას გასული თვეების ტენდენციებზე და ასევე მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

გაუფასურების შესაფასებლად კომპანია რეგულარულად ამოწმებს სადაზევო მოთხოვნებს. სააღრიცხვო მიზნებისთვის კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარებისთვის იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს. (დამატებით იხილეთ შენიშვნა 3.10)

26.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიამ 2020 წელს განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი. *COVID* 19-ს ნეგატიური გავლენა ქონდა აგრეთვე კომპანიის საქმიანობაზე. აღნიშნული ზარალისა და კოვიდის ნეგატიური გავლენის გათვალისწინებით კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს ფინანსური სირთულეების წინაშე.

კომპანიამ საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2020 წლის თებერვლიდან. მენეჯმენტი მიიჩნებს რომ კომპანიას ჭირდება 2-3 წელი ბიზნეს სტაბილიზაციის მისაღწევად.

კომპანიამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების გამოცემადმე მოიზიდა დაახლოებით 6,854 ათასი ლარის სადაზღვევო პორტფელი.

კომპანიამ აგრეთვე მიიღო წერილი აქციორებისგან, რომ საჭიროების შემთხვევაში აქციონერი განახორციელებს კომპანიის დაფიანანსებას სესხის გაცემის ან კაპიტალში დამატებით თანხის შეტანის გზით.

27 სადაზვევო რისკის მართვა

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და დროის განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთი ხელშეკრულებებით განპირობებული ძირითადი რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დგას, არის ის, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ გადააჭარბოს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება, რომელიც მოსალოდნელზე მეტია.

რისკის ცვალებადობა იმართება ზარალის რისკის სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე დივერსიფიცირებით, რადგანაც შედარებით დივერსიფიცირებულ პორტფელზე ნაკლებად მოახდენს გავლენას პორტფელის რომელიმე ნაწილში მომხდარი ცვლილება და გაუთვალისწინებელი შედეგები. რისკების ცვალებადობა ასევე იმართება ანდერაიტინგის სტრატეგიისა და წესების ფრთხილი შერჩევითა და განხორციელებით (ასევე 2021 წლიდან კომპანია გეგმავს პორტფელის გადაზღვევას). კომპანია ადგენს ანდერაიტინგის წესებსა და ლიმიტებს, რომლებითაც განისაზღვრება, ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა დასაშვები ზღვრების ფარგლებში. ამ ლიმიტების მონიტორინგი მუდმივად წარმოებს.

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის კომპანია ძირითადად იყენებს ზარალიანობის კოეფიციენტს: ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო მოთხოვნების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. კომპანიის ზარალიანობისა კოეფიციენი შემდეგია.

	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
ზარალის კოეფიციენტი	81%	54%

ძირითადი დაშვებები

ზარალის რეზერვი იქმნება ვალდებულებების შესრულების საერთო ხარჯის დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც მომხდარი და შეფასებულია ანგარიშგების დღისთვის ცნობილ ფაქტებზე, მათ შორის პოტენციური ასანაზღაურებელი ზარალის შეტყობინებებსა, ანალოგიური ზარალის გამოცდილებასა და პრეცედენტული პრაქტიკაზე დაყრდნობით, საანგარიშგებო თარიღით და საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

კომპანიამ გამოიყენა ყველა შესაძლო და მის ხელთ არსებული ინფორმაცია პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვების, მათ შორის ზარალების დაკორექტირების ხარჯების შესაფასებლად, სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეული კლასის მიხედვით. გარდა ამისა, უფრო მსხვილი გაცხადებული ზარალი ჩვეულებრივ, ცალ-ცალკე ფასდება ზარალის მაკორექტირებელი ფაქტორებით. ზარალის პროგნოზირების დაშვებები, ჩვეულებრივ, მიზნად ისახავს წარმოადგინოს ყველაზე დიდი ალბათობის მქონე ან მოსალოდნელი შედეგების მაქსიმალური შესაძლო სიზუსტით შეფასება.

მგრძნობელობა

ზოგადი სადაზღვევო ზარალების რეზერვი მგრძნობიარეა ზემოაღნიშნული ძირითადი დაშვებების მიმართ. იმ დაყოვნების გამო, რასაც ადგილი აქვს ზარალის დადგომასა და მის შემდგომ შეტყობინებასა და საბოლოო ანაზღაურებას შორის, აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი საანგარიშგებო თარიღისთვის ზუსტად არ არის ცნობილი. ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა ზარალის სიხშირისა და მოცულობის ცვლილებების შედეგად - მოთხოვნების რაოდენობა და მოთხოვნის საშუალო თანხა ის ძირითადი ამოსავალი მონაცემებია, რომლებიც გამოიყენება ავტოტრანსპორტის რისკების დაზღვევისთვის რეზერვის შექმნისთვის.

28 ფინანსური ინსტრუმენტები

28.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.10-ში.

28.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
საბანკო ანგარიშები	2,025,739	490,228
საბანკო ანაბრები	8,009,017	8,269,873
სადაზღვევო მოთხოვნები	3,608,178	1,788,437
სხვა აქტივები	515,702	99,617
	14,158,636	10,648,155

ფინანსური ვალდებულებები

ლარში	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
სადაზღვევო ვალდებულებები	1,980,131	169,322
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	691,036	407,676
სხვა ვალდებულებები	118,784	79,412
მიღებული სესხები	44,628	502,357
საიჯარო ვალდებულებები	1,951,258	588,288
	4,785,837	1,747,055

29 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ვალუტის გაცვლითი კურსის ზემოქმედება წარმოქმნილია კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან, საბანკო ანაბრებიდან და საიჯარო ვალდებულებებიდან, რომლებიც ძირითადად არის დოლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ლარი 31 დეკემბერი 2021	დოლარი	დოლარი
ფინანსური აქტივები		
სადაზღვევო მოთხოვნები	1,006,015	1,355,812
საბანკო ანაბრები	7,629,017	8,069,872
	8,635,032	9,425,684
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	1,951,258	588,288
	1,951,258	588,288
წმინდა პოზიცია	6,683,774	8,837,396

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 10%-იანი კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 10% არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 10%-იანი განაკვეთით.

ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან და ევროსთან მიმართებაში 10%-ით, მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარში	დოლარის გავლენა 2021	დოლარის გავლენა 2020
მოგება-ზარალი	(668,377)	(883,740)

საპროცენტო რისკი

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, სადაზღვევო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მიზნებისთვის ხდება თავის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით.

რისკების მართვის მიზნით კომპანია ფულს საბანკო ანგარიშებზე და ანაბრებზე კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში განათავსებს.

სადაზღვევო მოთხოვნები

სადაზღვევო მოთხოვნების სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სადაზღვევო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სადაზღვევო მოთხოვნები ჩამოიწერება (ე.ი. წყდება მათი აღიარება), როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

ზემოთ აღნიშნულის საფუძვლზე კომპანიის კომპანიის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შემდეგია:

31 დეკემბერი 2020

	საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	1,541,330	592
1 თვიდან 6 თვემდე	282,695	34,996
	1,824,025	35,588

31 დეკემბერი 2021

	საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	296,658	(148,329)
1 თვიდან 6 თვემდე	3,459,848	(89,134)
	3,756,506	(237,463)

c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

31 დეკემბერი 2021	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		12.76%	13.57%	
6 თვეზე ნაკლები	1,752,170	159,441	44,628	1,956,239
6 თვიდან 1 წლამდე	721,994	159,448	-	881,442
1-5 წლამდე	-	1,168,715	-	1,168,715
5 წელზე მეტი	-	1,703,274	-	1,703,274
	2,474,164	3,190,878	44,628	5,709,670

31 დეკემბერი 2020	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		12.76%	13.57%	
6 თვეზე ნაკლები	248,733	86,175	223,956	558,864
6 თვიდან 1 წლამდე	407,676	82,570	263,748	753,994
1-5 წლამდე	-	618,622	43,958	662,580
	656,409	787,367	531,662	1,975,438

კომპანიის ფულადი რესურსები და მოთხოვნები არის მიმდინარე ფულადი გასავლის მოთხოვნებზე მაღალი.

30 რეალური ღირებულების შეფასება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

31 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდურობის მაღალი დონის შენარჩუნებით;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც საქმიანობა უხდება. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუუნარობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება.

კომპანიის სადაზღვევო და არასადაზღვევო საქმიანობისთვის განკუთვნილი კაპიტალის მართვის პოლიტიკა გულისხმობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას.

კაპიტალის მართვის მეთოდი

კომპანია ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროების ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად ხდებოდეს აქციონერებისა და პოლისების მფლობელთა მოგების მაქსიმიზაცია.

კომპანიის მიერ კაპიტალის მართვის მეთოდი გულისხმობს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, გაცხადებული და სავალდებულო კაპიტალის დონეებს შორის არსებული სხვაობის რეგულარულად შეფასებას და კომპანიის კაპიტალის მდგომარეობაზე გავლენის მოსახდენად შესაბამისი ზომების მიღებას.

საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებისთვის დაწესებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ და კომპანიის შიდა სადაზღვევო კომპანიებზე მხოლოდ ინდივიდუალურად ვრცელდება. 2018 წლის 31 დეკემბრიდან, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, სავალდებულოა მინიმალური საწესდებო კაპიტალის შენარჩუნება 4,200 ლარის ოდენობით სიცოცხლის დაზღვევისთვის, 4,200 ლარის ოდენობით სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისთვის, თავდებობისა და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისთვის, 3,400 ლარის ოდენობით - არასიცოცხლის დაზღვევისთვის და 4,200 ლარის ოდენობით - გადაზღვევისთვის, რომლის 100% ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის ან საბანკო ანაბრების სახით უნდა განთავსდეს. ბანკის დასტურის წერილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ყოველთვიურად წარედგინება ზემოაღნიშნულ სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობის დასამტკიცებლად.

2021 წლის 31 დეკემბრიდან იზრდება მინიმალური კაპიტალის მოთხოვნის თანხის ოდენობა 7,200,000 ლარამდე. კომპანია აკმაყოფილებს ზედამხედველობის მოთხოვნებს მინიმალური კაპიტალისა და ფულადი სახსრების მოთხოვნებს.

32 გაუთვალისწინებელი გარემოებები

32.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე სრულად არ აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები, ბიზნეს საქმიანობა და მესამე მხარის პასუხისმგებლობა საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებრივი და გარემოსგან მიყენებული ზიანისგან. ვიდრე კომპანია არ უზრუნველყოფს დაზღვევის შესაბამის დონეს რისკია, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

32.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვალებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანობსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლბის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

33 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში

	მიღებული სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ფულადი ნაკადები:			
შემოსვლა	500,000	-	500,000
გადახდილი ძირი	-	(88,710)	(88,710)
გადახდილი პროცენტი	(8,395)	(57,148)	(65,543)
არაფულადი:			-
ფასს 16-ის კორექტირება		602,427	602,427
დარიცხული პროცენტი	10,752	57,148	67,900
საკურსო სხვაობა	-	74,571	74,571
რეკლასიფიკაცია	-		-
31 დეკემბერი 2020	502,357	588,288	1,090,645
ფულადი ნაკადები:	-	-	
შემოსვლა			-
გადახდილი ძირი	(456,063)	(82,682)	(538,745)
გადახდილი პროცენტი	(31,641)	(197,426)	(229,067)
არაფულადი:			-
ფასს 16-ის კორექტირება		2,040,112	2,040,112
დარიცხული პროცენტი	29,975	182,254	212,229
საკურსო სხვაობა		(206,303)	(206,303)
იჯარის გასვლა		(372,985)	(372,985)
31 დეკემბერი 2021	44,628	1,951,258	1,995,886

34 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მფლობელები და კომპანიის მენეჯმენტი, როგორც აღწერილია ქვემოთ.

34.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანია კონტროლდება ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ. კომპანიის საბოლოო მაკონტრელებელი პირია დავით კერესელიძე, რომელიც არის ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

34.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2021 წლის პერიოდში კომპანიას ქონდა შემდეგი სახის ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ლარში

ოპერაციები	2021 წლის პერიოდი	2020 წლის პერიოდი
მფლობელები		
მიღებული სესხები	-	500,000
დარიცხული პროცენტი	29,558	10,752
კაპიტალში თანხის შეტანა	4,250,000	12,500,000
სესხისა და პროცენტის გადახდა	487,704	-

ლარში

ნაშთები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მფლობელები		
მიღებული სესხები	-	502,357
	-	502,357

34.3 ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან განხორციელებული ოპერაციები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	459,073	372,768

სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა

მმართველობითი ანგარიშგება

2021 წლის საქმიანობის მიმოხილვა

NEW VISION INSURANCE

სარჩევი:

შესავალი 1

2021 წლის მიმოხილვა 2

საკადრო პოლიტიკა. 6

2022 წლის გეგმები. 6

შესავალი

ნიუ ვიჟენ დაზღვევა დაარსდა 2020 წლის 20 თებერვალს. მიუხედავად ბაზარზე მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდისა, კომპანიამ შეძლო უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მომხმარებლების დაზღვევა. ნიუ ვიჟენ დაზღვევა ორიენტირებულია ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანზე და მოსახლეობას სთავაზობს სადაზღვევო პროდუქტების სრულ ასორტიმენტს როგორც კორპორატიული, ისე საცალო დაზღვევის მიმართულებით.

კომპანიის დამფუძნებლები არიან საქართველოში მოღვაწე ორი კომპანია - **ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი** და **ნიუ ვიჟენ ინფრასტრუქტურა**.

ნიუ ვიჟენ დაზღვევის მიზანია ყველასათვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სადაზღვევო პროდუქტების შექმნა.

ნიუ ვიჟენ დაზღვევის სტრატეგია, რომელიც კომპანიას არსებული მიზნის მიღწევაში დაეხმარება:

- კომპანიის თითოუელი მომხმარებლის მოსმენა და უკუკავშირის დეტალური ანალიზი;
- ლოიალური და კმაყოფილი მომხმარებლის რაოდენობის ზრდა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და განვითარების მეშვეობით პროცესების მაქსიმალურად ავტომატიზაცია და გამარტივება;
- კომპანიის თითოეული თანამშრომლის განვითარების ხელშეწყობა.

კომპანიის თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სადაზღვევო სფეროში დიდი გამოცდილების მქონე კადრებითაა დაკომპლექტებული. სწორედ ამან განაპირობა ასე მოკლე პერიოდში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა.

კომპანიამ დაარსებიდან მალევე დააკმაყოფილა სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის მიერ დაწესებული ყველა მოთხოვნა და 2020 წლის 17 მარტს მიიღო ორი სახის ლიცენზია: სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია.

2021 წლის მიმოხილვა

სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა

2021 წელს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოზიდული პრემიის მაჩვენებელი გაიზარდა 16%-ით, მაშინ, როდესაც წინა პერიოდში ზრდის მაჩვენებელი შეადგენდა 6%-ს.

2021 და 2020 წლების მოზიდული და გამომუშავებული პრემია სახეობების მიხედვით მთელ სადაზღვევო ბაზარზე გამოიყურება შემდეგნაირად:





როგორც მოსალოდნელი იყო, 2020 წელთან შედარებით 2021 წელს მკვეთრად გაიზარდა სამოგზაურო დაზღვევის მოზიდვები და გამომუშავებები (96%-ით), რაც უკავშირდება კოვიდ-19-თან დაკავშირებული რეგულაციების შემსუბუქებას. ასევე მნიშვნელოვანი ზრდა არის სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაში, სადაც მოზიდვის ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 25%. ბოლო ხუთი წლის ტენდენციის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ბაზარზე პენეტრაციის დონე ყოველწლიურად იმატებს და მოსახლეობაში დაზღვევის კულტურა მუდმივად ვითარდება.

ნიუ ვიჟენ დაზღვევის მოზიდვა

ნიუ ვიჟენ დაზღვევამ სადაზღვევო საქმიანობა დაიწყო 2020 წლის 17 მარტს. მიუხედავად კოვიდ-19-თან დაკავშირებული სირთულეებისა, კომპანიამ მაინც მოახერხა მცირე დროში 31 სახის სადაზღვევო პროდუქტის შექმნა და რეალიზაცია.

<u>აგრო დაზღვევა</u>

კომპანია თავიდანვე აქტიურად ჩაერთო აგრო დაზღვევის პროექტში და 2021 წელს აღნიშნული მიმართულებით 4,828,164 ლარის პრემია მოიზიდა. შედეგად კომპანიამ აგრო დაზღვევაში მე-2 ადგილი დაიკავა სხვა სადაზღვევო კომპანიებს შორის წლის განმავლობაში მოზიდული და გამომუშავებული პრემიის მიხედვით. ამავე პერიოდში კომპანიამ აანაზღაურა 5,239,465 ლარის ზარალი. აგრო პროექტში 2021 წლის აქტიურობის შედეგად კომპანიას აქვს ძალიან კარგი პლატფორმა იმისათვის, რომ მომავალ წლებში დიდი მოცულობით დააზღვიოს ნაკლებრისკიანი კულტურები.

<u>ავტო დაზღვევა</u>

კომპანიის მიერ ამ პერიოდში მოზიდულმა პრემიამ ავტო დაზღვევაში შეადგინა 9,662,710 ლარი, რომლის 71% წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციებთან გაფორმებულ კონტრაქტებს, 26% შეადგენს საცალო გაყიდვებს, ხოლო 3% უჭირავს კორპორატიულ გაყიდვებს.



კომპანიამ 2021 წელს დააზღვია სახელმწიფო ავტოპარკის 50%, რამაც ჯამში შეადგინა 6,735,560 ლარის მოზიდვა. დიდი მოცულობის ავტოპარკის ხარისხიანად მოსამსახურებლად კომპანიამ შექმნა როგორც დიდი პროვაიდერული ქსელი, ასევე უფრო მეტად გააძლიერა სადაზღვევო შემთხვევების დარეგულირების დეპარტამენტი თვითონ კომპანიის შიგნით.

2020 წლის ოქტომბრიდან კომპანია ჩართულია ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პროგრამაში, რის შემდეგაც ის სხვა სადაზღვევო კომპანიების მსგავსად ინაწილებს ამ პროგრამის ფარგლებში მიღებულ ფინანსურ შედეგებს.

პროცესების გაციფრულება და ავტომატიზაცია

ნიუ ვიჟენ დაზღვევის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია კომპანიაში მიმდინარე პროცესების მაქსიმალურად ავტომატიზაცია და გაციფრულება. ეს დაგვეხმარება შემდეგი მიზნების მიღწევაში:

- კომპანიის რესურსების დაზოგვა;
- შიდა პროცესების დაჩქარება;
- მომხმარებლებისთვის კომფორტის შექმნა პროდუქტების ონლაინ შეძენის შესაძლებლობით;
- მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის დაჩქარება;

- პროდუქტების ხელმისაწვდომობა;
- ქაღალდის მოხმარების შემცირება და ნაღდი ფულის ბრუნვის მინიმიზაცია.

კომპანია ფულად ანგარიშსწორებებს 100%-ით აწარმოებს საბანკო გადარიცხვებით, შესაბამისად კომპანია არ იყენებს ნაღდ ფულს, რითაც ამცირებს ვირუსული დაავადებების გავრცელების რისკს, ასევე ზრდის გამჭვირვალობას და კონტროლის მექანიზმებს.

კომპანიამ დანერგა ციფრული მომსახურება, რის საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია ელექტრონულად შეიძინოს სადაზღვევო პოლისი, ყოველგვარი ამობეჭდვის და ქაღალდის მოხმარების გარეშე.

მომხმარებელს შეუძლია სადაზღვევო პრემია გადაიხადოს შემდეგი წყაროებით:

- გადმორიცხვა კომპანიის ანგარიშზე;
- გადახდა ინტერნეტ-ბანკის საშუალებით;
- გადახდის აპარატების საშუალებით;
- კომპანიის ვებ-გვერდის საშუალებით.

მომხმარებელს თავად შეუძლია გაეცნოს სტანდარტულ სადაზღვევო პროდუქტებს და შეიძინოს პოლისი პირდაპირ ვებ-გვერდის საშუალებით. ამასთან, ვითვალისწინებთ, რომ ყველა მომხმარებელი თანაბრად არ იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს, ამიტომ ვცდილობთ ეს ტექნოლოგიები მაქსიმალურად მარტივი და კომფორტული გავხადოთ.

მომსახურების ხარისხი

კომპანია დეტალურად განიხილავს მომხმარებლისგან მიღებულ უკუკავშირს და იღებს შესაბამის ზომებს.

კომპანიის პოლიტიკაა დაზღვეულს კუთვნილი თანხა ჩაურიცხოს ზარალის დარეგულირებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის ვადაში. დღეების მიხედვით ანაზღაურების გაცემის პროცენტული მაჩვენებლები ასე გამოიყურება:



ამით ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ ჩვენს მომხმარებლებს.

საკადრო პოლიტიკა

ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ყველაზე დიდი აქტივი ჩვენივე თანამშრომლებია. მიგვაჩნია, რომ კომპანიის წარმატებას განსაზღვრავს თითოეული თანამშრომელი ნებისმიერ დეპარტამენტში ნებისმიერ თანამდებობაზე. ამიტომ კომპანიას აქვს შემდეგი პოლიტიკა:

- თანამშრომელთა მუდმივი გადამზადება და ტრენინგები. ჩვენ რეგულარულად ვატარებთ ჩვენი თანამშრომლებისთვის ტრენინგებს და ვეხმარებით მათ განვითარებაში;
- მაქსიმალური გამჭვირვალობა და ჩართულობა. ჩვენ ვცდილობთ, რომ თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს ხედვა კომპანიაში მიმდინარე მოვლენებზე, გაცნობიერებული ჰქონდეს კომპანიის სტრატეგია და მოქმედებდეს ამ სტრატეგიის შესაბამისად კომპანიის საკეთილდღეოდ. ჩვენი მიზანია თითოეული თანამშრომელი მაქსიმალურად ჩართული იყოს ყველა შესაბამის პროცესში და თავს გრძნობდეს კომპანიის და ჩვენი გუნდის ნაწილად.

ახალი კადრების მოძიებისას ვცდილობთ, რომ მათ შევთავაზოთ მაქსიმალურად ხელსაყრელი და კონკურენტული პირობები. ამ პოლიტიკამ განაპირობა, რომ ჩვენ თანამშრომელთა მნიშვნელოვან ნაწილს დიდი გამოცდილება აქვს სადაზღვევო სფეროში, რაც აისახა კიდეც კომპანიის შედეგებში და სწრაფ განვითარებაში.

2022 წლის გეგმები

2022 წლისთვის კომპანიის გეგმებია:

- ფინანსური მოგება;
- მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა;
- ინოვაციური პროდუქტების შექმნა;
- ციფრული ტექნოლოგიების დახვეწა და უფრო მეტად განვითარება;
- თანამშრომელთა განვითარება და მეტი ჩართულობის მიღწევა.

კომპანიის მიზანია, რომ 2022 წელს ფინანსური მოგება აჩვენოს, რათა მიღებული მოგებით კიდევ უფრო მეტად შეძლოს თავისი მომსახურების განვითარება.

2022 წელს კომპანიამ კვლავაც აქტიურად გააგრძელა სახელმწიფო ავტოპარკის დაზღვევა და უკვე მოიზიდა 4,264,000 ლარის პრემია. ასევე შეიქმნა ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაზღვევის უნიკალური პროდუქტი, რომელიც ახალი სიტყვა იქნება სადაზღვევო ბაზარზე. კომპანია აძლიერებს კორპორატიული დაზღვევის ქსელს და შესაბამისად კორპორატიულად დაზღვეული მომხმარებლების პორტფელს.

ხარისხის კონტროლისთვის მნიშვნელოვან მექანიზმად კვლავაც მიგვაჩნია უკუკავშირის დეტალური განხილვა. 2022 წლიდან კომპანიაში შეიქმნა ხარისხის მართვის დეპარტამენტი, რომლის მთავარი მიზანია არის მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა.

ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით ჩვენი გეგმებია უფრო მეტად გავზარდოთ პროცესების ავტომატიზაციის დონე, ასევე დავნერგოთ გადახდის რაც შეიძლება მეტი ალტერნატიული წყარო და ჩვენი ვებ-გვერდი მომხმარებლისთვის უფრო მეტად მოსახერხებელი გავხადოთ.

ჩვენი მიზანი ასევე არის ბაზრის პენეტრაციის გაზრდა - ბაზარზე ამ დროისთვის დაუზღვეველი მოსახლეობის და აქტივების დაზღვევა და ზოგადად სადაზღვევო კულტურის უფრო მეტად განვითარება საქართველოში.

ჩვენ გვწამს, რომ აღნიშნული ხედვით და სტრატეგიით მაღალ დონეზე ავიყვანთ სადაზღვევო კულტურას საქართველოში და დროთა განმავლობაში გავხდებით ბაზარზე ერთ-ერთი მოწინავე კომპანია.

სს ნიუ ვიჟენ დაზღვევის მმართველობითი ანგარიში გამოიცა 2022 წლის 14 აპრილს

გიორგი ბარკალაია

დირექტორი

NEW VISION INSURANCE

ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით ჩვენი გეგმებია უფრო მეტად გავზარდოთ პროცესების ავტომატიზაციის დონე, ასევე დავნერგოთ გადახდის რაც შეიძლება მეტი ალტერნატიული წყარო და ჩვენი ვებ-გვერდი მომხმარებლისთვის უფრო მეტად მოსახერხებელი გავხადოთ.

ჩვენი მიზანი ასევე არის ბაზრის პენეტრაციის გაზრდა - ბაზარზე ამ დროისთვის დაუზღვეველი მოსახლეობის და აქტივების დაზღვევა და ზოგადად სადაზღვევო კულტურის უფრო მეტად განვითარება საქართველოში.

ჩვენ გვწამს, რომ აღნიშნული ხედვით და სტრატეგიით მაღალ დონეზე ავიყვანთ სადაზღვევო კულტურას საქართველოში და დროთა განმავლობაში გავხდებით ბაზარზე ერთ-ერთი მოწინავე კომპანია.

სს ნიუ ვიჟენ დაზღვევის მმართველობითი ანგარიში გამოიცა 2022 წლის 14 აპრილს

გიორგი ბარკალაია

დირექტორი